


ნინო მიქიაშვილი  
Нино Миқиашвили

მერაბ კოსტავა  
Мераб Костава



ნინო მიქიაშვილი

# მერაბ კოსტავა

წინაპრები,  
მოწამეობრივი ცხოვრება,  
აღსასრული

(მეორე გამოცემა)

ქუთაისი, 2016 წელი

ქართულიდან აფხაზურად გადაითარგმნა  
ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტში

Аҧсуа бызшәахь еитәгоуп “Ақыртҭа-аҧсуа  
еизыказаашьақәа ринститут” афь

მხატვარი ლია სინაზულიძე

Асахьатыхды Лиa Сихарулизе

კომპიუტერული

უზრუნველყოფა ლევან ჩხლაძისა

Компиутерла

анбанкәшәара Леван Чихлазе

შპს „სანდრო 97“-ის შეკვეთით  
დაიბეჭდა შპს ე.ს. „Geo-Bel“-ში

ISBN 978-9941-0-8944-2



## წინაპრები მამის მხრიდან

მერაბ კოსტავას წინაპრები სამეგრელოდან ბატონს გამოექცნენ და იმერეთში დასახლდნენ. მერაბის დიდბაბუა – ივანე ბაატას ძე კოსტავა მეღვინეობას მისდევდა, მის მკვიდრ ბიძაშვილ, სახელგანთქმულ მეღვინე მათე კოსტავასთან ერთად. მათ ქუთაისში დუქნები ჰქონდათ. ივანე ქველმოქმედი, გაჭირვებულის ხელის გამმართავი იყო. ივანეს და მის მეუღლეს 9 შვილი ჰყავდათ: ქეთევანი, კატო, იაკობი, დავითი, კონსტანტინე, მიქელა, მიხეილი, ქრისტეფორე, ვალიკო. ისინი ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე, ერთ დიდ სახლში ცხოვრობდნენ.

მერაბის ბაბუა – ქრისტეფორე კოსტავაც მეღვინეობას მისდევდა. მან ეკატერინე (კატო) ნუცუბიძეზე ჯვარი დაიწერა 1906 წლის 23 ივლისს, ქუთაისში. პირველი შვილი, გრიგოლ კოსტავა 1907 წლის 4 ივნისს შეეძინათ; 1910 წლის 6 იანვარს დაიბადა ივანე (ვანო) კოსტავა, მერაბის მამა. ჯვრისწერიდან შვიდი წლის შემდეგ – 1913 წლის 12 ნოემბერს ქრისტეფორე კოსტავა გარდაიცვალა. იგი ქუთაისში, მშობლებისა და და-ძმების გვერდით დაკრძალეს.

აღრიანად დაქვრივებული კატო ნუცუბიძე სათნო, ღვთისმოშიში და უაღრესად კეთილი ადამიანი, საბნებს კერავდა და თბლად დაწრქნილ თრ შვილს ასე ინახავდა. მერაბ კოსტავა, რომ დაიბადა,

კატა ნუცუბიძე საცხოვრებლად ქუთაისიდან თბილისში გადმოსული იყო. მან მეჩაბის აღზრდაში დიდი როლი ითამაშა. კატა ნუცუბიძე დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე, იქ სადაც მისი შვილი და ძაძალი – ვანო კოსტავა და თლლა დემურია-კოსტავა განისვენებენ.

მეჩაბის ბაბუის ძმა – იაკობ კოსტავა ქიმიში სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოების ავტორი იყო. ამასთან, მან ქიმიის სახელმძღვანელო რუსულიდან ქართულად პირველმა თარგმნა. იაკობ კოსტავამ ქუთაისის I გიმნაზია და შემდეგ ყაზანეთში ბიოქიმიური ფაკულტეტი დაამთავრა. იგი რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ვახლდათ. კომუნისტურ პარტიაში აზასდროს შესულა, ანტიკომუნისტურ განწყობას ღიად გამოხატავდა.

იაკობ კოსტავამ გელათის მონასტრის ძარცვის ფაქტი მოიკვლია – ნაძარცვიდან რამდენიმე ნივთს და მათ შორის დავით აღმაშენებლის თქრის ბეჭედს, რომელსაც დავით მეფე ცერზე იკეთებდა, ყაზანეთის მუზეუმში მიაგნო. მოკვლევის დეტალები იაკობმა ჩანაწერებში ასახა, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა.

იაკობ კოსტავა 1974 წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს ქუთაისში, შობლებისა და დაძმების გვერდით. დარჩა თბილისში – თამარ (თამარიკო) კოსტავა და სოლომონ (სოსო) კოსტავა.

თბილისში ცხოვრებისას იაკობის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე, ვანტანგ კოტეტიშვილი, სხვები და ქვეყნისთვის საჭირობოტო საკითხებზე მსჯელობდნენ. იაკობის ხშირი სტუმარი იყო მეჩაბ კოსტავა, რომლის ცნობიერების ჩამოყალიბებამაც მან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, ისევე, როგორც გრიგოლ კოსტავამ, მეჩაბის მამის ძმამ.

გრიგოლ კოსტავასადმი დამოკიდებულება ასახულია წერილში, რომელიც 1979 წლის 2 ივლისს მეჩაბმა თჯახს პერმის პოლიტაგტიმართა ბანაკიდან გამოუგზავნა:

„...როგორ გამოგვეცალა ხელიდან ეს ვაჟაკი, კაცი მძიმე და მნიშვნელოვანი ბედისა, ბედის არ მემოხელი და ბედისგან დაუმარ-



ცნებელი, ბავშვობის ღრთიდანვე ჩემი იდეალი, რომელიც 10 წელი ან მინანა და რომელიც იმნანად ხალხმა, თავად საქართველომ შემაყვარა, რადგან თუ კი ვინმე მკითხავდა რა გვარისა ვიყავი, იმის კითხვასაც ან დაიშურებდა, თუ გრიმა კოსტავა რა იყო ჩემი და გამონაკლისის გარეშე მოჰყვებოდა მისი ვაჟკაცობისა და კაიკაცობის ამბავს...“

მერაბის ბიძა – გრიგოლ კოსტავა, მსახიობი და ყოფილი პოლიტიპატიმარი პირველად 1924 წლის აჯანყების ღრთს დააპატიმრეს. 17 წლის გრიგოლი ერთი წელი დატუსაღებული ჰყავდათ. იქიდან მოყოლებული “უყურადღებოდ” ან ტოვებდნენ, რასაც ადასტურებს საქმის მასალებში ახსებული, 1932 წლით დათარიღებული დოკუმენტი – “ჯგუფში არის გრიგოლ კოსტავა, რომელიც 1924 წელს იჯდა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, აგვისტოს ავანტიურის ღრთს”.

გრიგოლი მეორედ 1945 წლის 30 მარტს დააპატიმრეს. საქმის მასალების მიხედვით, გრიგოლ კოსტავა 1942 წლის მაისიდან იყო ვალერიან დვალისხილის ხელმძღვანელობით მოქმედი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის “საქართველოს ვათავისუფლების კომიტეტი” წევრი; გრიგოლ კოსტავამ შეადგინა და გასაგრძელებლად 500 პროკლამაცია დაბეჭდა.

1945 წლის 4 აგვისტოს სამხედრო ტრიბუნალმა გრიგოლ კოსტავას დაწვრტა მიუსაჯა. ამის შესახებ თჯანმა ცხიდან გამოგზავნილ, ლობიოს მარცვლებში განვეული სიფრიფანა წერილებიდან შეიტყო – “მომისაჯეს დაწვრტა. ბედნიერი ვარ, რომ თქვენ ყველანი კარგად ხართ. მე არაფრის ან მეშინია. ჩემთვის ახლა სულერთია. მხოლოდ ის მაწუნებს, რომ თქვენ გაგწავალეთ. ან მიღარდეთ. გკოცნი, კარგად იყავით ყველანი”.

ერთი თვისა და ცხრა დღის შემდეგ, 1945 წლის 13 სექტემბერს გრიგოლ კოსტავას სასჯელის უმაღლესი ზომა 10-წლიანი პატიმრობით შეუტვალეს და გადაასახლეს. გრიგოლი სამშობლოში 1955 წლის 14 აპრილს დაბრუნდა და სამსახიობო მოღვაწეობა ქუთაისში გააგრძელა.

1935 წლიდან მოყოლებული 15 ფილმშია გადაღებული. მათ შორისაა დიუთ “გლანის ნაამბობში”, ამილანგარი “მია წყნეთელი”, არჩილი “ნინოში”. სამსახირობო მოღვაწეობის 55 წლის განმავლობაში გზივთ კოსტავას 90-ზე მეტი რთლი აქვს განსახივრებული, რამდენიმე ინსტენიონების ავტორია. 1961 წელს დამსახურებული არტისტის წოდება მიიღო, 1965 წელს სახალხო არტისტის.

გზივთ კოსტავა 1979 წელს გარდაიცვალა. იგი მწერალთა და საზოვადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს. დარჩა ერთი შვილი – დავით (დათო) კოსტავა.

## წინაპრები დედის მხრიდან

მერაბის ბებია – ლუბა გოგავა იყო მეფის რუსეთის პოდბოლკოვნიკისა და ქუთაისის გუბერნატორის თანამემწის ერმალო გოგავას ქალიშვილი. ქუთაისის ქალთა პირველი გიმნაზიის შემდეგ, ლუბა გოგავამ თდესის ფარმაკევტული სასწავლებელი დამთავრა. ვლადიმერ დემურიატ თდესაში გაიცნო. მათ სამი შვილი შეეძინათ – უფროსი ნადია, შუათანა თლლა და უმცროსი ვერა (ბარანა).

მერაბის ბაბუა – ვლადიმერ დემურია რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდური, სარეკომენდაციო და პრაქტიკული სახელმძღვანელოების ავტორი იყო. მან თდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დამთავრა. შესანიშნავად იცოდდა: ბერძნული, ლათინური, გერმანული და რუსული ენები. თდესის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ქალაქ ლუგანსკის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობა დაიწყო. მოგვიანებით ამავე გიმნაზიის დირექტორი გახდა.

1918-1921 წლებში ვლადიმერ დემურია სენაკის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი იყო, 1921-დან 1931 წლამდე – სენაკის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორი, ხოლო 1932 წლიდან თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. პარალელურად,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს პედაგოგიკასა და რუსულ ენას უკითხავდა. ბოლოს მუშაობდა განათლების სამინისტროს სკოლების ინსპექციის სამმართველოს ხელმძღვანელად. კომუნისტურ პარტიაში არ გაწევრიანებულა. ვლადიმერ დემუჩია და ლუბა გოგავა დაკრძალულები არიან თბილისში, ვაკის სასაფლაოზე, შვილთაშვილის ირაკლი კოსტავას გვერდით.

## მუთავლი

მერაბ კოსტავას მშობლებმა – ვანო კოსტავამ და თლღა დემუჩიამ ერთმანეთი ქობულეთში გაიცნეს და მალევე დაქორწინდნენ. ვანო კოსტავა ბუღალტრად მუშაობდა. მერაბის სიყრმის მეგობრების გადმოცემით, “ძია ვანო შეუდრეკელი და სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანი იყო, რომელიც ერთის მხრივ ძმამ და მეორეს მხრივ შვილმა დაჩრდილეს”.

უფროსი ძმის გზიგთლის დაბატონებებიდან ძალიან მალე ვანო კოსტავაც დაბატონებულ – წესიერებით ცნობილ კაცს თანხის გაფლანგვაში ბზალი დასდეს და გადაასახლეს. სამშობლოში დაბრუნებული ვანო კოსტავა 1964 წელს ინსულტის დიაგნოზით გარდაიცვალა.

თლღა დემუჩია 1915 წლის 23 აგვისტოს, ქუთაისში დაიბადა. 1922 წლიდან სენაკის საშუალო სკოლაში სწავლობდა. 1929 წელს სენაკის პედაგოგიურ ტექნიკუმში ჩააბარა. 1931 წლიდან მისი თჯახი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. თლღამ სწავლა თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმში გააგრძელა, რომელიც 1932 წელს დაამთავრა. 1933-1938 წლებში სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. 1938 წელს საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვადაზე გვიან, 1946 წელს დაამთავრა, სამრეწველო და სამთქალაქო მშენებლობის განხრით.



თლღა დემუზრია-კოსტავა 1946-1969 წლებში “ჰიდროტექნიკში” მუშაობდა, ჰიდროტექნიკოსადგურების დანადგარების ინჟინერ-დამმართელებლად. 1969 წლიდან “გრუნტინჰრომინტში” გადავიდა. თლღა დემუზრია-კოსტავა 2003 წლის 16 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე, მეუღლის გვერდით.

## **„გოგვასლიანი“ და ჰიგველი დავატიმკება**

მერაბ კოსტავა დაიბადა თბილისში, 1939 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. დედის თლღა დემუზრია-კოსტავას ჯანმრთელობის გართულებული მდგომარეობის გამო ძირითადად ბებია-ბაბუასთან – ლუბა გოგვასა და ვლადიმერ დემუზრიასთან იზრდებოდა. მერაბს და-ძმა არ ჰყოლია. თავიდან სწავლობდა ვაჟთა მეშვიდე სკოლაში (ახლანდელ 53-ში), შემდეგ პირველ გიმნაზიაში, ზომელიც მოგვიანებით პირველ სამუშალო სკოლადა გადაკეთდა.

მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ, შემდგომში დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და დამეგობრდნენ. ზვა კლასის დამთავრების შემდეგ მერაბი თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ ათწლეღში გადაიყვანეს.

1953 წელს, მაშინ, როცა საქართველოს გათავისუფლებაზე ფიქრიც კი საშიში იყო, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მერაბ კოსტავამ და მისმა თანატოლებმა დაიწყეს მსჯელობა არალეგალური ორგანიზაციის შექმნასა და საქართველოს გათავისუფლებაზე. ეს იღვა მოგვიანებით, 1956 წელს განახორციელეს – 16-17 წლის ყმაწვილებმა ანტისაბჭოთა ორგანიზაცია “გოგვასლიანი” შექმნეს. მერაბი მაშინ თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მეათე კლასის მოსწავლე იყო.

“გორგასლიანში” ცხრანი იყენენ: ზვიად გამსახურდია, ანატოლი მიქაძე, თამაზ გუნჯუა, ვოვა სინარულიძე, მერაბ კოსტავა, ჯონდო მეტრეველი, თემურ ცერცვაძე, გურამ სხირტლაძე და გურამ დოჩანაშვილი.

1956 წლის 1 დეკემბერს “გორგასლიანელებმა” 7 ცალი პოკლამაცია დაბეჭდეს, რომლის მოკლე შინაარსი ასეთი იყო – “ქართველებო, სხვა არავინაა მშველელი, ჩვენი საკუთარი თავის გარდა. ბრძოლით უნდა მივადწითოთ თავისუფლებას. გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!”

არალეგალური ორგანიზაციის წევრები 1 დეკემბერს, ღამის 12 საათზე ოპერასთან შეიკრიბნენ, პოკლამაციები ორად გაყვეს და თავდაც თრ ჯგუფად გაიყენენ. გამსახურდიამ, მიქაძემ, სინარულიძემ და დოჩანაშვილმა პოკლამაციები პლენანოვისა და კამოს ქუჩებზე გააკრეს, ხოლო კოსტავამ, მეტრეველმა, ცერცვაძემ და გუნჯუამ რუსთაველზე, ჭონქაძესა და გრიბთედოვზე.

1956 წლის 14 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უშიშროების კომიტეტში, იგივე სუკ-ში “გორგასლიანელების” წინააღმდეგ, ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

1956 წლის 14-15 დეკემბერს დააპატიმრეს და სუკ-ის იზოლაციონში მოათავსეს მერაბი, თავის თანამებრძოლებთან: ზვიად გამსახურდიასთან, ანატოლი მიქაძესთან, თამაზ გუნჯუასთან, ვოვა სინარულიძესთან, ჯონდო მეტრეველთან, თემურ ცერცვაძესთან და გურამ სხირტლაძესთან ერთად. გურამ დოჩანაშვილი მოგვიანებით დააპატიმრეს, რადგან პოკლამაციების გაკვრიდან ძალიან ძალე ქუჩაში მომხდარი ინციდენტის დროს სხეულის დაზიანება მიიღო და საავადმყოფოში მკურნალობდა.

ანტისაბჭოთა პოკლამაციების ავტორები საბჭოთა პრესამ საჩუველა ბალახს შეადარა – “ხულიენები გვევლინებიან, როგორც სა-

ტველა ბალახი მთბიბინე ჯეჯილში, ისინი სახელს უტენენ ჩვენს საუცხოო ანაღვანდობას, გვევლინებიან მუწუკებად ჯანსაღ სხეულზე. მუწუკს კი მოჭრა უნდა, სარეველას ამოძირკვა, – ასეთი პათოსის მქონე ვრცელი სტატია გზეთ “კომუნისტში” გამოქვეყნდა “გორგალიანელების” დაპატიმრებიდან თბი დღის შემდეგ, 1956 წლის 16 დეკემბერს.

თბთვიანი პატიმრობის შემდეგ, 1957 წლის 5 აპრილს “გორგალიანელები” პირბთბითი მსჯავრბით გაათავისუფლეს: ზვიად გამსახურდიას 5-წლიანი პირბთბითი მსჯავრბი განუსაზღვრეს; მერაბ კოსტავას, ანატოლი მიქაძეს და ვთვა სინარულიძეს 4-წლიანი, ხოლო ჯონდო მეტრეველს, თემურ ცერცვაძეს, გურამ დოჩანაშვილს, გურამ სინრტლაძეს და თამაზ გუნჯუას 3-წლიანი.

## **დათჯახება, პონსპრვატორბიაში ჩაბარება, დისიდენტობა**

მერაბი მეტრედ 1958 წელს, სულიგნობის ბრალდებით დააპატიმრეს, ჯონდო მეტრეველთან, ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ დადიანთან და გურამ დოჩანაშვილთან ერთად. ისინი თბი თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

მერაბს მუსიკალური ნიჭი ჰქონდა, მაგრამ თავიდან მუსიკოსობას არ აპირებდა. მუსიკალური ათწლეულის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, აბქიტექტურის ფაკულტეტზე მოწყობა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, ქულები დააკლდა.

მერაბი 19 წლის იყო, როცა მახარაძის (ამჟამინდელი თბურგეთის) რაიონში სტუმრობისას რუსუდან ბერიძე გაიცნო. 1959 წლის 21 მარტს თბილისში, გალაკტიონის დაკრძალვაზე შეხვდნენ და დაჩჩინილი ცხოვრების ერთად გატარება გადაწყვიტეს. ერთი თვის შემდეგ შეუღლდნენ.

რუსუდანიც რეპრესირებული თჯახიდან იყო. მამა, ივანე ვლადიმერის ძე ბერიძე, პროფესიით მათემატიკოსი 1928 წელს ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით გაასამართლეს და გადაასახლეს. ივანე ბერიძეს გადასახლებაში თან გაჰყვნენ მეუღლე ნინა გოგუაძე და მცირეწლოვანი ვაჟი გიგა ბერიძე, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა. 1942 წელს ივანე ბერიძე დახვრიტეს.

რუსუდან ბერიძესა და მერაბ კოსტავას 1961 წლის 9 მარტს ვაჟი – იბაკლი კოსტავა შეეძინათ. 1959-დან 1987-წლამდე მერაბმა და რუსუდანმა თბილისში მთავრობის ხელი და ამდენჯერვე განქორწინდნენ.

1961 წელს მერაბი ჩაიბრუნა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ფორტეპიანოს კლასში, მაგრამ მოგვიანებით განხრა შეიცვალა; 1965 წელს, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მუსიკისმცოდნის, მუსიკალური-ისტორიული საგნების მასწავლებლის კვალიფიკაცია მიენიჭა.

კონსერვატორიის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქალაქ რუსთავის მუსიკალურ სასწავლებელში, მუსიკის ისტორიის პედაგოგად. 1967 წლიდან ჟურნალის “ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში” რედაქტორი იყო. 1968-დან თბილისის მეორე მუსიკალურ სასწავლებელში გადავიდა. მესამედ დაპატიმრებამდე თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგად მუშაობდა.

1974 წელს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ჩამოაყალიბეს “ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი საქართველოში”. 1975 წელს ანტისაბჭოთა, ანალეგალური ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟურნალის “თქრის საწმისი” გამოშვება დაიწყო.

1975 წლის 1 აგვისტოს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის სამიტზე საბჭოთა კავშირის ცენზურალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ლეონიდ ბრეჟნევმა ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ევროპის ქვეყნების პირველ პირებთან ერთად ხელი მოაწერა ჰელსინკის შე-

თანხმებას, რითაც საბჭოთა კავშირმა ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შესრულების ვალდებულება აიღო. ჰელსინკის შეთანხმების გაფორმების შემდეგ საქართველოში (ისევე, როგორც საბჭოთა კავშირში არანებაყოფლობით გაერთიანებულ სხვა ქვეყნებში) ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით ვითარება არ გაუმჯობესებულა.

1976 წლის მაისში მოსკოვში “ჰელსინკის შეთანხმების ხელშეწყობი ჯგუფი” შეიქმნა. იმავე წლის შემოდგომაზე, ანალოგიური ჯგუფი ზვიად გამსახურდიასა და მეჩაბ კოსტავას ინიციატივით თბილისშიც ჩამოყალიბდა. 1976 წლიდან მათ ანტისაბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის – “საქართველოს მოამბე” გამოცემა დაიწყო.

## **მესამე კატიმკობა კეჩის კოლიტკატიმკობა ბანაკში**

ზვიად გამსახურდიასა და მეჩაბ კოსტავას მიერ, საქართველოს გასათავისუფლებლად წამოწყებული მშვიდობიანი ბრძოლა, საბჭოთა ხელისუფლებისთვის სამშინი განდა. არალეგალური ლიტერატურის თარგმნას, დაბეჭდვას, გავრცელებას; ანტისაბჭოთა ჟურნალების გამოცემას; კრემლის მიერ დაპყრობილი და საბჭოთა კავშირში არანებაყოფლობით გაერთიანებული ქვეყნების დისიდენტებთან ურთიერთობას; მოსასმენად აკრძალული რადიოებისთვის – “ამერიკის ხმა”, “თავისუფლება” ინფორმაციის მიწოდებას და არალეგალური თარგმნატივების შექმნას ზვიად გამსახურდიას და მეჩაბ კოსტავას დაპატიმრება მოჰყვა.

დაპატიმრებამდე თნი კვირით ადრე მათი საქმიანობის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია დაიწყო, ბინძური სტატიებითა და ლექსებით. ისინი სამშობლოს მოღალატეებად, სოციალიზმის მტრებად, თვითმარქვია ერისკაცებად გამოაცხადეს. განსაკუთრე-



ბული აქცენტი მიმართული იყო ზვიად გამსახურდიანზე, როგორც კლასიკოსი მწერლის, კონსტანტინე გამსახურდიას შვილზე. დაბატონებამდე ექვსი დღით ადრე, 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდიამ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

1977 წლის 7 აპრილს, ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით ზვიად გამსახურდიამ და მეზობ კოსტავა დააპატიმრეს. ისინი ერთი წლის შემდეგ გასამართლეს. 1978 წლის 19 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით ზვიად გამსახურდიამ და მეზობ კოსტავამ ანტისაბჭოთა საქმიანობაში დამნაშავეებად ცნო. სასჯელის ზომად შეეფარდათ მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გადასახლება.

1978 წელს იბაკლი კოსტავამ დაწერა ლექსი “თანატოსი”, რომელიც მამას უძღვნა:

**„შაფრთხიანი შეისვენებს მგზავრობის შუა,  
წამოიძინებს ამის დრო თუა,  
გზას გაუდგება ლეგა ცხენზე ამხედრებული,  
არ შეაშინებს დაბრკოლება გზად ხვედრებული.  
ზუსტად რომ დროზე, არცა ადრე და არცა გვიან,  
ვიღაც მესამე ნაპირს პოულობს,  
აღესილი სამართლებლით ვენას ინლიჩაგს, სიკვდილს თხოულობს.  
შაფრთხიანი შეისვენებს მგზავრობის შუა,  
წამოიძინებს ამის დრო თუა.“**

19 მაისის განაჩენი მეზობ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ადვოკატებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საკასაციო საჩივარი 1978 წლის 15 ივნისს განიხილა და განჩინებაზე იმავე დღეს გამოიტანა. ამონაჩივი 15 ივნისის განჩინებიდან:

“...გამსახურდია და კოსტავა ცნობილ იქნენ დამნაშავედ იმისათვის, რომ ისინი მოქმედებდნენ ზა საბჭოთა ხელისუფლების შესუსტების მიზნით, წლების მანძილზე ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროპაგანდას... ამზადებდნენ და ავტრელებდნენ ისეთ ლიტერატურას, რომელიც: შეიცავდა ცილიმსწამებლურ მონაჭტოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამინათ და საგარეო პოლიტიკაზე; დამახინჯებული სახით აშუქებდა საბჭოთა კავშირის სამინათ პოლიტიკურ მდგომარეობას, სახელს უტყებდა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-წყობილებას, ზოგჯერ კი მოუწოდებდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ...”

1978 წლის 15 ივნისს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დამნაშავეებად ცნო. მერაბ კოსტავასთან მიმართებაში 19 მაისის განაჩენი უცვლელი დარჩა. ანუ მერაბს მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით გადასახლება მიუსაჯეს. იგი თბილისიდან პერმში გადაიყვანეს, იქ სადაც სასჯელს პოლიტპატიმრები იხდიდნენ.

ზვიად გამსახურდიასთან მიმართებაში არასაპატიმრო სასჯელი გამოიყენეს. პარალელურად, ტელევიზიით გაავრცელეს ვიდეორიპორტი, რომელიც იგი ანტისაბჭოთა საქმიანობას ვმობდა. ზვიად გამსახურდიას განცხადებამ და მისადმი არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებამ დისიდენტურ წრეებში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მოგვიანებით, ამავე თემზე საბჭოთა პრესაში სტატიებიც დაიბეჭდა.

*„ღია წერილი ვაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას. აღმფთვებული ვარ თქვენს მიერ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წამოწეებული ცილისმწამებლური კამპანიით. ყოველივე, რასაც თქვენ მის მონანიებაზე წერთ, არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან ჩემზე უკეთ სიმართლე ამის შესახებ არავინ იცის. ეს იყო ტაქტიკური ნაბიჯი, იმჟამინდელი აუცილებლობით გა-*

*მოწვეული. ამის შესახებ ჩემს განცხადებაში უკვე ვისაუბრე ვრცლად, შექმნილად განთავისუფლებისა და ამაღაც, ამის გამო სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ჩვენს ურთიერთდაპირისპირებას ნურავინ ეცდება. ამოდ ჩაივლიან ამგვარი მკვლელობანი. მოვითხოვ ზვიად გამსახურდიას და მისი თჯახის დევის შეწყვეტას. 06 მარტი, 1988 წელი. მეზაბ კოსტავა“.*

1977 წლის 7 სექტემბერს, პატრიმობის მეხუთე თვის თავზე მეზაბ კოსტავას მეორე შვილი – თამაზ (თამთა) კოსტავა შეეძინა. თამთა თბილისში დედასთან ლალი გიორგაძესთან იზრდებოდა. მამა-შვილი ერთმანეთს პირველად 1987 წელს შეხვდნენ. მანამდე საპატრიმოდან მამამ წერილი გამოუგზავნა:

„გამარჯობა ჩემო თამრიკო. გწერ პირველად წერილს. ვიდრემდე შენზე რაიმეს მომიტონობდნენ და შენს ფოტოსურათს ვიხილავდი, შენს აზსებობას მთელი სიცხადით ვგრძნობდი. ვგრძნობდი და მჯერებდა, რომ კარგი ხარ! შენი მამა. 15 თებერვალი, 1987 წელი“.

თამთა კოსტავა 1992-2010 წლებში დედასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა. უმაღლესი განათლებაც იქ მიიღო. თამთა მხატვარია. იგი ამჟამად თბილისში, დედასთან ერთად ცხოვრობს.

## **თავისუფალი ბასახლეებიდან საპატრიმოში შებრუნება**

1978 წლის 15 ივნისის სასამართლოს განჩინების მიხედვით, სამწლიანი პატრიმობის შემდეგ, მეზაბ კოსტავა თავისუფალ ბასახლებში იყო – 1980 წლის 7 აპრილიდან ირკუტსკის ოლქში, კერძოდ, ტაშიეტის რაიონში მდებარე დაბა კვიტოკში ცხოვრობდა და იქაურ ბავშვებს სკოლაში მუსიკას ასწავლიდა.

---

\* საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტი

მერაბ კოსტავას სამშობლოში დაბრუნება, რომ გაეჭიანურებინათ, პროვოკაცია მოუწყვეს და საპატრიმტოში შეაბრუნეს. 1981 წლის 17 ნოემბერს უბნის ინსპექტორი კლინგი ფენებში ჩაუვარდა და ისეთი რთლი გაითამაშა, რომ თითქოს მერაბის აგრესიის მსხვერპლი გახდა.

გათავისუფლების შემდეგ, თბილისში ჩაწერილ ვიდეონტერვიუში მერაბ კოსტავამ დაბა კვიციანიში მოწყობილი პროვოკაცია ასე აღწერა – “უბნის ინსპექტორი, რომელიც მანამდე მილიციაში მუშაობდა, იქიდან გამოვიდა, ჩემთან მოვიდა, პალატოში ხელი ჩამავლო, ჩემს ფეხებთან დაეცა და კივილი დაიწყო. ვუყურებდი და ვფიქრობდი – რა დაემართა? ამ დროს, მილიციის შენობიდან ორი კაცი გამოიქცა და გვერდით დაუდგა. აი, მამინ მივხვდი, რაც მოხდა და დავეყვირე – “ძირს საბჭოთა ხელისუფლება!” – ეს იყო ჩემი პირველი რეაქცია.”

ამ პროვოკაციის შემდეგ მერაბი დააპატიმრეს და ტაშიშელის №3 საგამომიებო იზოლაციონში ჩასვეს. დაპატიმრებამდე სანქცია ტაშიშელის რაიონის პროკურორმა რ.ზ. სალიძემ გასცა. დაბა კვიციანიში მოწყობილი პროვოკაცია საქმის მასალებში ასე ასახეს – “მერაბ კოსტავამ ჩაიდინა მძიმე დანაშაული, ბოროტი ხულიგნობის გამოიჩინა განსაკუთრებული უნებობით და წინააღმდეგობას უწევდა მილიციის თანამშრომელს”.

ხელმოკრულ დაპატიმრება მერაბმა ტაშიშელის რაიონის პროკურორთან 1981 წლის 3 დეკემბერს გაასაჩივრა. ექვსი დღის შემდეგ რაიონის პროკურორის კიდევ ერთხელ მიმართა.

1981 წლის 11 დეკემბერს მერაბი ირეუტსკის თლქის ტაშიშელის საქალაქო სახალხო სასამართლომ გაასამართლა. მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საქმის მასალების მიხედვით, წარდგენილ ბრალდებაში მერაბ კოსტავამ თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ მას დაბა კვიციანიში მიზანმიმართული პროვოკაცია მოუწყვეს.

კიდევ ერთი უსამართლო განაჩენი მეჩაბმა 1981 წლის 19 დეკემბერს რაიონის პროკურორთან გასაჩივრა. 1981 წლის 21 დეკემბერს ქალაქ ტაიშეტის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს დახლოებით იგივე შინაარსის საჩივარი გაუგზავნა.

## ღამოჩილების ამაო მცდელობები

ხელმეორედ დაპატიმრების შემდეგ დაიწყო მეჩაბ კოსტავას დამორჩილებისა და სულიერად გატენვის ამაო მცდელობები. მეჩაბ კოსტავას საქართველოში დაბრუნება სახიფათოდ მიჩნდათ. კრემლში (ანუ იქ საიდანაჯ საქართველოსა და საბჭოთა კავშირში აწახნებაყოფლობით გაერთიანებულ დანაწიერ ქვეყნებს ერთიანი ხელი-სუფლება მართავდა) მიიხრევიდნენ, რომ მეჩაბ კოსტავას საქართველოში დაბრუნებით სიმშვიდე დაიბრუნებდა და სიტუაცია აიხრებოდა, რადგან მეჩაბ კოსტავას სულიერად ვერ გატენეს და კონტროლს ვერ დაუქვემდებარეს.

მეჩაბ კოსტავას სამშობლოში დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმჟამინდელი საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფილიპ ბაბუკი. მისი პოზიცია ასეთი განსაზღვრულია – “მეჩაბ კოსტავას აქ უნდა მოკვდეს, ის საქართველოში ცოცხალი არ უნდა დაბრუნდეს”.

საპატიმროში მოწყობილ პროტოკოლებსა და უსამართლობას მეჩაბ კოსტავას მშვიდობიანი პროტესტის უკიდურესი ზომით, შიმშილობით პასუხობდა. პარალელურად, მისადმი დამოკიდებულებას წერილობით ასაჩივრებდა.

1982 წლის 2 აპრილს მეჩაბი ტაიშეტიდან ქალაქ ანგარსკის №15-ე კოლონიაში გადაიყვანეს, იქ სადაც სასჯელს განსაკუთრებით სწიმში დამნაშავეები იხდიდნენ. საქმის მასალების მიხედვით, ანგარსკში გადაყვანის მომენტიდან მეჩაბი “დარღვევების გზას დაადგა და აღმზრდელობითი ღონისძიებების გამართვის დროს საპატიმროს ადმინისტრაციას წინააღმდეგობას უწევდა”.



1982 წლის 16 ივლისს, რეორგანიზაციის გამო მერაბი ერთი ბანაკიდან მეორეში გადაიყვანეს. ადმინისტრაციის მითითებების შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამის გამო 23 ივლისს მერაბს მორიგი პაემნის უფლება ჩამოართვეს, რაც იმავე დღეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესთან და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ.გ. ფედორჩუკთან წერილობით გააპროტესტა.

### **პირადი საქმის მასალების მიხედვით:**

1983 წლის 9 მარტს მერაბი ერთი ბანაკიდან მეორეში თვითნებურად გადავიდა. იგი ბანაკის უფროსმა კოლოსოვკიმ დააკავა. ამის გამო მერაბს პირად საქმეში საყვედური გაუფორმეს.

1983 წლის 11 ივლისს აკრძალულ ტერიტორიაზე გადავიდა, რის გამოც პირად საქმეში გაფრთხილება ჩაუწერეს.

1983 წლის 29 თქტომბერს ქალაქ ანგარსკის პრტუკორთისთვის გაზანხილ საჩივარში გააპროტესტა მისთვის გამოცხადებული საყვედური, გაფრთხილება და თავისუფალი გასახლების შემდეგ ციხეში შებრუნება. დაახლოებით იგივე შინაარსის საჩივარი 1983 წლის 31 თქტომბერს ქალაქ ანგარსკის კოლონიებზე ზედამხედველობის პრტუკორთის სახელზე გაზანხა.

1984 წლის 21 იანვარს მერაბს დაუწუნეს საძინებელი ადგილის სანიტარული მდგომარეობა და სიტყვიერი საყვედური გამოუცხადეს.

1984 წლის აპრილში ჯერ საყვედური გამოუცხადეს, შემდეგ გაფრთხილება მისცეს და 30 აპრილს საჯარო იზოლატორში ჩასვეს. ანგარსკის კოლონიის ადმინისტრაციამ ეს ფაქტი დოკუმენტურად ისე გააფორმა, რომ თითქოს მერაბს პირადი ჩხრეკის დროს ფენსაცემელში ჩადებული 25 მანეთი აღმოუჩინეს, ხოლო საკნის ჩხრეკის დროს, საწოლის ზამბარაში 5 მანეთი უნახეს. მერაბი საჯარო იზოლატორში 15 დღით გადაიყვანეს.

საქმის მასალების მიხედვით, იმავე დღეს, მერაბის პირადი ნივთები ხელმეთრედ გაჩხრიკეს და აკრძალული ნივთი – მავთული

აღმოუჩინეს, რის გამოც საჯარო იბოლათში ყოფნა 5 დღით გაუზანგრძლივეს. ანუ, ერთ დღეში ორჯერ დასაჯეს!

1984 წლის 17 სექტემბერს მერაბის საკნის ჩხრეკის დროს ტუმბოში აკრძალული ნივთი, თვითნაკეთი ელექტრო მადულარა აღმოაჩინეს. ამის გამო პირად საქმეში საყვედური გაუფორმეს.

საქართველოდან გადასახლების შემდეგ მერაბ კოსტავას სანახავად აზერბაიჯანში იყვნენ ჩასულები მისი თჯანის წევრები: რუსუდან ბერიძე, ირაკლი კოსტავა, თლლა-დემურია-კოსტავა; მერაბის სიყვარულის მეგობარი ზურაბ (რუსიკო) შაუთიძე; მერაბის დეიდამეილი თამარ ციკოლია; მერაბის მეგობარი ვაჟა ადამია.

გადასახლებაში ყოფნის დროს მერაბი მონახულეს: სიყვარულის მეგობარმა ზვიად გამსახურდიამ; რუსუდან ბერიძის ნათესავმა ელიკო გოგუაძემ; მეზობელმა და მეგობარმა იზო ფანსადანიშვილმა; მეგობრებმა: გიორგი კორძაძემ, თემურ ჯანელიძემ, ციცი ბუქუჩაშვილმა და გივი მადულარამ.

## **სანგრძობი უიშობობა**

საქმის მასალებში დევს საპატიმროს მენაწილის უფროსის ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვით, 1984 წლის 12 ნოემბერს მერაბმა საკვების ნებაყოფლობით მიღებაზე უარი თქვა. ამ დღიდან იწყება გრძელვადიანი შიმშილობა, რომელიც წელიწადი და თვეანხევარი გაგრძელდა. მერაბს დროდადრო ძალდატანებით კვებავდნენ. პარალელურად აღმზრდელთა საუბრებს უტარებდნენ, რათა საკვები ნებაყოფლობით მიეღო და სამეურნეო ნაწილში ემუშავა, რაზეც გაჯიუტებული მერაბი უარს ამბობდა.

1984 წლის 13 ნოემბერს კატეგორიული უარი განაცხადა ადმინისტრაციის მითითებაზე, რათა სამეურნეო ნაწილში ემუშავა. შინაგანაწესის დარღვევის მოტივით მოშიმშილე მერაბ კოსტავა საჯარო იბოლათში 15 დღით გაამწესეს.

1984 წლის 21 ნოემბერს მისადმი გამოხატული მთლიანი უსამართლობა ქალაქ ანგარსკის კოლონიებზე ზედამხედველობის პრეტორიისადმი გაგზავნილ საჩივარში გააპროტესტა.

1984 წლის 28 ნოემბერს საკვების მიღებასა და სამეურნეო ნაწილში მუშაობაზე კვლავ კატეგორიული უარი განაცხადა და წარმოებაში მუშაობა მითხოვდა, რის გამოც საჯარო მოხელა ტერმინში 15 დღით ჩასვეს.

1984 წლის 14 დეკემბერს მეზაბს მოუწოდეს საკვები მიეღო და სამეურნეო ნაწილში ემუშავა, მაგრამ ამასვე კვლავ უარი განაცხადა. კოლონიის ადმინისტრაციამ მეზაბი საჯარო მოხელა ტერმინში 15 დღით ჩასვა.

საქმის მასალების მიხედვით 1-დან და 13 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო მოხელა ტერმინში სამედიცინო შემოწმებას დღეგამომშვებით უტარებდნენ. საკვები ძალდატანებით თრჯერ მიაღებინეს. ჯანმრთელობის გაუარესების გამო კოლონიის სამედიცინო ნაწილში გადაიყვანეს, სადაც საკვების მიღებაზე უარის თქმა გააგრძელა.

1984 წლის 24 დეკემბერს ქალაქ ანგარსკის პრეტორიის საჩივრით მიმართა, რომელშიც კიდევ ერთხელ გააპროტესტა მისი უფლებების შელახვა, სასჯელის უსამართლოდ მომატება.

მეზაბ კოსტავას გაგზავნილ საჩივრებს რეაგირება არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით ე.წ. ვასაუბრების ამსახველ, ზედამხედველი პრეტორიების შედგენილ ცნობებს, რაც მეზაბის პირად საქმეში ინახება. მაგალითად, 1984 წლის 28 დეკემბერს მეზაბს შეხვდა და ესაუბრა ანგარსკის პრეტორიის თანაშემწე, გვარად ილინი. 1984 წლის 29 დეკემბერს მეზაბთან შესახვედრად კოლონიის იმყოფებოდნენ ირკუტსკის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მთადვილე გუშინი და გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსის მთადვილე დონდოევი.

შემოქმედების გამო მეზაბ კოსტავას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაართულდა და 1985 წლის 7-დან 17 იანვრამდე ანგარსკის №2 კოლონიის სამეურნეო დაწესებულებაში მკურნალობდნენ. საკვებს

დღევამთვეებით, ძალდატანებით აძლევდნენ. 17 იანვარს მეჩაბი №15 კოლონიაში დააბრუნეს.

1985 წლის 21 იანვარს მეჩაბმა სამეურნეო ნაწილში მუშაობაზე კვლავ უარი თქვა, რის გამოც, შიმშილისგან ფიზიკურად დაუძლეულ-რებული საჯაროთ იზოლაციაში 10 დღით გააძწესეს.

შინაგანაწესის სისტემატურად დაზღვევისთვის 1985 წლის 31 იანვარს მეჩაბი 3 თვით “კარტეში” ჩასვეს, სადაც გააგრძელა უარის თქმა საკვების მიღებასა და ადამინისტრაციის მითითებების შესრულებაზე.

მეჩაბ კოსტავას ბიზადი საქმის მასალების მიხედვით\* მას თავი დამნაშავედ არ უცვნია, მაგრამ მითითებულ დაზღვევებში მონაწილეთა არ უარუყვია; სამეურნეო ნაწილში მუშაობას დამამტკინებელად, ღიხების შემლახვად მიიჩნედა და წარმთებაში მუშაობას მითონოვდა.

## იჩაკლი კოსტავას ბარდაცვალეა

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის არქივში დაცული დოკუმენტების თანახმად, მეჩაბ კოსტავა ნობელის პრემიაზე თბ-ჯერ იყო წარდგენილი – 1978 წლის 30 სექტემბერს და 1985 წლის 28 იანვარს.\*\* ნობელის პრემიაზე მეთრედ წარდგენიდან ხუთი დღის შემდეგ, 2 თებერვალს იჩაკლი კოსტავა სუკ-ში დაიბარეს. იქიდან დაბრუნებულმა ჯონდო მეტრეველს უთბრა – “დღეს სუკ-ში ვიყავი დაბარებული. დეტალებს მოგვიანებით ვიამბობთ”. იმავე სადამოს მეგობრის, გუგა კოტეტიშვილის თჯახში გამლილ სუფრბაზე მოილხინა. შვილიშვილის სახლში დაბრუნება თლდა დემურბია-კოსტავას არ ვაუვია.

---

\* შს-ს თადარიგის პოლკოვნიკის ვლადიმერ ტაბაღუს არქივიდან

\*\* დოკუმენტები ბექა ურუშაძემ მოიძია

ბების გამთენიისას გაეღვიძა, იზაკლის თთანში ანთებული შუქი შენიშნა. იფიქრა, კითხვის დროს ჩაეძინა, შუქს ჩავუქრობო. თთანში ფრთხილად შევიდა და სამინელი სურათი დახვდა – იზაკლი ფანჯრის ვისთებზე საკუთარი შარფით ჩამოკიდებული იყო. გარდაცვალების ცნობაში, გარდაცვალების მიზეზად მითითებულია “ასფიქსია ჩამოკიდებით”.

მერაბს თბილისიდან დეპეშა გაუგზავნეს. შიმშილისგან ფიზიკურად დაუძლურებული “კარტეზიდან” კოლონიის დირექტორის თთანში აიყვანეს, დეპეშა წააკითხეს და “კარტეზში” დააბრუნეს.

შვილის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება ასახულია ლექსში სათაურით “იზაკლის”, რომელიც მერაბმა პატრიმრობისას დაწერა:

**„...ძევის გაბედვით და ვაჟკაცობით  
სიცოცხლის ძარღვი რად გაიწყვიტე,  
ისრები შხამში ამონაწობი  
უკლებლივ რაჯომ ვერ აისხლიტე?!**

**ვერც მოგეფერე, ვერც დაგიტირე,  
ჭინსა შიგან მყოფს ეს რა მიყავი,  
იმ დაწყევლილ დღეს მე სასიკვდილე  
ვაგლახ შენს გვერდით რომ არ ვიყავი.**

**ო, როგორ ვდარდობ, როგორ ვინადვლი,  
აწ მომხდარს რომ ვერ გადავედობე,  
კიდევ კარგი რომ ჩემთვის იზაკლი  
გარდაცვლილები არ აზსებობენ...”**

იზაკლი კოსტავამ (ისევე, როგორც იზაკლის დედამ, რუსუდან ბერიძემ) დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, რომელიც წიგნად პირველად 1989 წელს გამოიცა. იზაკლი კოსტავა ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს, თლდა დემუზია-კოსტავას მშობლების გვერდით.



## სასჯელის მეორედ დამატება

1985 წლის 13 თებერვალს მეზაბი საჯაროთ იზოლაცოტოში 5 დლოთ ჩასვეს. 1985 წლის 7 მარტს ანგარსკის №15-დან №2 კოლონიამი გადაიყვანეს. 1985 წლის 21 მარტს ანგარსკის №15 კოლონიამი დაბბრუნეს.

1985 წლის 5 აბრილს იტკუტსკის თლეის №6 კოლონიამი გადაიყვანეს. 1985 წლის 12 აბრილს ანგარსკის №15 კოლონიამი დაბბრუნეს. 1985 წლის 25 აბრილს ანგარსკის №2 კოლონიამი გადაიყვანეს. 1985 წლის 30 მაისს ანგარსკის №15 კოლონიამი დაბბრუნეს. 1985 წლის 31 მაისს თვითნებურად დატოვა საპატომროს სამედოცინო ნაწილი, რის გამოც საყვედური გამოუცხადეს.

1985 წლის 3 ივნისს მეზაბმა უარი თქვა აღმინისტრაციის მოტივ შეთავაზებანე, სამეურნეო ნაწილში მუშაობის შესახებ და საკვების ნებაცოფოლობით მიღებანეც უარის თქმა გაავბძელა, რის გამოც სამი დლოთ საჯაროთ იზოლაცოტოში გაამწესეს. 1985 წლის 10 ივნისს საჯაროთ იზოლაცოტოში 7 დლოთ ჩასვეს.

1985 წლის 1 ივლისს მეზაბის წინააღმდეგ, უბრობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. იმავე დღეს იტკუტსკის №1 საგამოძებო იზოლაცოტოში გადაიყვანეს.

ხანგბძლივი შიმშილობის მეტვე თვეს – 1985 წლის ივლისში დაწერა პოემა „შიმშილობა“:

„...გაშლილი გულით, დიმილით პირზე,  
ისე, ქართველ კაცს, რომ ეკადრება,  
თუ მეღირსება ნეტავ გამზირზე,  
ამაყად დგომა ნაცნობ ჭადრებთან,  
კოლხეთით ტკობა რიონის პირზე,  
მუხლის მოდრეკა ქართულ ტაძრებთან.  
ეს თუ არ მონდა აღარ ვინაღვლი,  
ცნოვრება ჩემი განვლიე სწორად,  
მუდამ მთლიანი ვიჯექი ინახად,  
არ ვავთიშულვარ აროდეს თრად,

წილხედომ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,  
მაშინ ნამუსის ქუდი გავთვლოთ,  
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,  
შემდეგ ეს მიწა და საქართველო...“

1985 წლის 27 სექტემბერს მერაბი ანგაჩსკის სასამართლომ გაასამართლა. ურჩობისთვის 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის ათვლად 1985 წლის 14 ივნისი განუსაზღვრეს. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ანგაჩსკის №15-ე კოლონიაში გადაიყვანეს.

გამუდმებული შიმშილობისა და „კარცერში“ ყოფნის გამო მერაბს ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად შეერყა, ტუბერკულოზით დაავადდა. ანგაჩსკის №15 კოლონიის აღმინისტრაციის იყოლებული განდა მერაბი სამკურნალო დაწესებულებაში გადაეყვანა – 1985 წლის 19 დეკემბერს ქალაქ ტაშკენტის №9 კოლონიაში გადაიყვანეს, იქ, სადაც ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები სასჯელს იხდიდნენ.

მერაბ კოსტავამ ძირითადად პაციენტობის დროს დაწერა ლექსები, ფილმთაფიური და ლიტერატურული ესეები, რაც მისი დაღუპვის შემდეგ წიგნებად გამოიცა.

## სამშობლოში დაბრუნება და მკრფნული მოძრაობის აღმავლობა

1986 წლის 27 დეკემბერს მერაბი საქართველოში ჩამოიყვანეს. იგი ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა ქსნის №39 სამკურნალო დაწესებულებაში მათავსეს.

სსრკ-ში\* მიმდინარე „პერესტროიკის“ ფონზე, პოლიტიკური პაციენტები და მათ შორის მერაბ კოსტავა გაათავისუფლეს. ეს 1987 წლის 30 აპრილს მოხდა.

---

\* საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი

კრემლის პრეტენზიები გამართლდა, მეჩაბ კოსტავას გათავისუფლების შემდეგ საქართველოში ვითარება მართლაც „აირია“ – ფარულად მოქმედი დისიდენტური ჯგუფები სანაშაპროსაზე გამოვიდნენ და დაიწყეს მრავალათასიანი მიტინგები, გაფიცვები, შიმშილობები, მანიფესტაციები, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. აქციების მთავარი მოთხოვნა საქართველოს გათავისუფლება და დამოუკიდებლობის აღდგენა გახლდათ.

1988-1989 წლებში ერთგვარი მოძრაობა იყო ძლიერი და ერთიანი, თავს ვერაფერ აძლევდა უფლებას პირადი მე დაყენებისა ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. ასეთი ვითარება მეჩაბ კოსტავას დალუბვამდე გახლდათ.

გათავისუფლებიდან წლინახევრის შემდეგ, 1988 წლის 21 აგვისტოს მეჩაბმა განცხადებით მიმართა კულტურის სამმართველოს უფროსს თათარ ბერძენიშვილს – „... ამჟამად უმუშევარი ვარ და გთხოვთ, გამომინახოთ სამსახური რომელიმე მუსიკალურ სკოლაში“. ამ განცხადებას აღრესაჯმა რეზოლუცია მეორე დღეს დაადო – „გთხოვთ, აიყვანოთ აღრიცხვაზე და დააკმაყოფილოთ პირველი რიგი“.

1988 წლის სექტემბრიდან მეჩაბმა მუშაობა დაიწყო თბილისის მეორე მუსიკალურ სკოლაში. იგი ბავშვებს (მათ შორის მეც) ხალხურ სიმღერას ასწავლიდა.

## სიცოცხლის უპანასკნელი თვეები

1989 წლის 4 აპრილს, სამედიცინო ინსტიტუტის ენოში აქცია დაიწყო, რომელზეც აფხაზეთში ვითარების ხელოვნურად დაძაბვას აპროტესტებდნენ. სამედიცინო უნივერსიტეტთან დაწყებულმა მრავალათასიანმა აქციამ, მანიფესტაციით რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ გადაინაცვლა. 5 აპრილიდან აფხაზეთთან დაკავშირებული მოთხოვნები შეიცვალა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. მთავრობის სასახლის კიბე-

ებზე შიმშილობა დაიწყო. აქციის მონაწილეთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა.

8 აპრილს, გვიან ღამით, დაძვრებამდე ცოტა ხნით ადრე აქციის მონაწილეებთან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე მივიდა. აქციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და სთხოვა ქაშუეთისა და სინის ტაძრებში გადაენაცვლათ, რადგან საფრთხე რეალური იყო. აქციის მონაწილეებმა ადვილიდან დაძვრებზე უარი განაცხადეს, “არ დავიშლებით, ფიცი გვაქვს ნათქვამი”-თ.

ამგვარი შეძახილებიდან ძალიან მაღე აქციის მონაწილეები, მათ შორის მომომილეები უმოწყალოდ დააძვრეს რუსეთიდან საქართველოში ჩამოყვანილმა საბჭოთა კავშირის არმიისა და შინაგანი ჯარის ნაწილებმა. აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ თბილისილი ნიზბები და ქიმიური ნივთიერება გამოიყენეს. 1989 წლის 9 აპრილს, რუსთაველის გამზინზე თავისუფლებისათვის ბრძოლას 16 ადამიანი შეეწირა, მათ შორის ძირითადად ქალები იყვნენ. ათასობით ადამიანი (მათ შორის მეც) ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა.

ერთენული მოძრაობის ლიდერები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი და ვია ჭანტურია დააპატიმრეს. თბილისში კომენდანტის საათი გამოაცხადეს. დაშნაშაგეების დასჯის ნაცვლად ერთენული მოძრაობის ლიდერების დაპატიმრებას საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების პროტესტი მოჰყვა.

40 დღის შემდეგ დაპატიმრებულები გაათავისუფლეს. დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით აქციები და მანიფესტაციები განახლდა. მერაბ კოსტავას ინიციატივით, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში წვევამდელთა მჯდომარე გაფიცვა დაიწყო – გაფიცულები უაჩს ამბობდნენ საბჭოთა ჯარში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლაზე.

მერაბ კოსტავა, ერთენული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად, სათავეში ედგა ხუდონჰესის აშენების და ტრანსკავკასიური სატკინიფო მავისტრალის გყვანის საწინააღმდეგო აქციებს.

1989 წლის 12 თქტომბერს მეზაბ კოსტავამ თბილისთან ახლოს, ასურეთში, სიყრმის მეგობრის რუდიკო შაუთიძის აგარაკზე ათი დღით დასვენება გადაწყვიტა. ვაჟა ადამიას მანქანაში ჩასხდნენ: მეზაბი, რუდიკო შაუთიძე და თავად ვაჟა ადამია. სანამ ადგილიდან დაიძვრებოდნენ, მეზაბს დედამ დაუძახა – თამბრკოტ ჩხეიძე ტელეფონთან მოსვლას ვთხოვსო. მეზაბი შებზუნდა და უკან გამოსულმა მეგობრებს აცნობა, რომ ქუთაისში უნდა გამგზავრებულყო, სადაც “ილია ჭავჭავაძის საზოგადოების” ლიდერებთან თამარ (თამბრკოტ) ჩხეიძესა და ზურაბ ჭავჭავაძესთან შეხვედრა იყო დაგეგმილი. ქუთაისში წვევამდელთა აქციაზე მიმდინარეობდა.

თრივე ღონისძიებაში მონაწილეების მისაღებად 12 თქტომბერს მეზაბი თბილისიდან თამბრკოტ ჩხეიძის კუთვნილი თეთრი ფერის “ნიფით” გაემგზავრა: ზურაბ ჭავჭავაძესთან, თამარ ჩხეიძესთან, ანზორ აბაშიანიძესთან და გიორგი თავაძესთან ერთად. თბილისიდან ქუთაისამდე მანქანას ზურაბ ჭავჭავაძე მართავდა.

ქუთაისიდან მეორე დღეს, 1989 წლის 13 თქტომბერს, დილა-აღრიან გამობზუნდნენ. საჭესთან თამარ ჩხეიძე იჯდა. გვერდით სავარძელზე მეზაბ კოსტავა, ხოლო უკან ზურაბ ჭავჭავაძე იყო. ხარავაულის რაიონში, სოფელ ბორითთან, ცენტრალურ გზაზე ავარიის მოხდა. მეზაბ კოსტავა მანქანიდან ცოცხალი გადმოიყვანეს. იგი ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ ექიმს ნემსის გაკეთების დროს წინააღმდეგობას უწევდა. მეზაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე იქვე, რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით არსებულ ამბულატორიის შენობაში გადაიყვანეს. მეზაბი ამბულატორიაში მიყვანამდე, მანქანაში გარდაიცვალა.

ავარიის შედეგად ზურაბ ჭავჭავაძემ რთული დაზიანებები მიიღო. იგი თბილისში გადმოიყვანეს. ავარიიდან 69-ე დღეს – 1989 წლის 21 დეკემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა, რის მიზეზადაც “ა ჰეპატიტი” დაასახელეს.

საქართველოში თითებზე ჩამოსათვლელნი არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მეზაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე ხელოვნური ჩარევის გარეშე, ბუნებრივად გარდაიცვალნენ.



## პატრიარქის ქაღაპება

„სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ჩვენთან არს ღმერთი. დღეს სრულიად საქართველო გლოვობს და აცილებს თავის საყვარელ შვილს, მერაბ კოსტავას; აცილებს ზეციურ საქართველოში. დღეს ჩვენ ვეთხოვებით იმ ადამიანს, რომლის ცხოვრება, მთელი ცხოვრება იყო მოწამეობრივი და რომლის აღსასრულიც მოწამეობრივი იქნა. მერაბ კოსტავა იყო ჩვენი ერისათვის ის ანთებული სანთელი, რომელიც უნათებდა ჩვენს ხალხს გზას ჭეშმარიტებისაკენ, უნათებდა ჩვენს ქვეყანას გზას თავისუფლებისაკენ. ეს იყო ის ადამიანი, რომელიც ოცნებობდა სრულიად საქართველოს ერთიანობისათვის და აი, ამას შეეწირა იგი.“

მან განვლო გოლგოთა და დღეს არის მისი აღდგომის და ამალლების დღე. ღმერთმა დალოცოს მისი უკვდავი სული, ღმერთმა დალოცოს ის გზა, რომელიც განვლო მან თავის ცხოვრებაში და ღმერთმა მოგვასწროს იმ იდეების განხორციელებას, რასაც შეეწირა მერაბ კოსტავა. ამინ“.\*

ეს სიტყვები წარმოთქვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, სიონის საკათედრო ტაძარში, მერაბის დაკრძალვის წინა დღეს, მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვილის გადახდის შემდეგ.

მერაბ კოსტავა 1989 წლის 21 თქტომბერს მთაწმინდაზე დაკრძალეს. იმ დღეს თბილისის ქუჩებმა ლამის მთელი საქართველო დაიჭია – დაკრძალვას არჩანული რაოდენობის ხალხი დაესწრო.

ერთვნილი მოძრაობა ორად გაიყო. 1990 წლის 28 თქტომბერს საქართველოში მრავალპარტიული არჩევნები გაიმართა, რომელშიც

---

\* ციტირება პაატა (ჯამბულ) კერესელიძის და ბენო გვარლიანის გადაღებული ვიდეოკადრებიდან

გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მოქმედმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ “მზგვალი მავიდა”. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ იმავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა.

1991-1992 წლებში საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ზვიად გამსახურდიასთან ერთად დევნილმა უზენაესმა საბჭომ 1993 წლის 2 სექტემბერს მერაბ კოსტავას ერთგული გმირის წოდება მიანიჭა.





## ბილიტიჰა

„ჩვენ მაინც ვიპოვით ვზას აფხაზი ხალხის გულები-კენ“, – ეს მერაბ კოსტავას სიტყვებია. ამ წიგნის გამოცემით მინდა ვიპოვო ჩემი წილი ვზა აფხაზი ხალხის გულებიკენ.

წიგნი ქართულ ენაზე პირველად გამოიცა 2013 წლის 13 თებერვლის, ხარაგაულის რაიონის გამგებლის კობა ლუცსმანაშვილის\* თანადგომით.

ამჯერად წიგნის აფხაზურად გადათარგმნისა და მისი გამოცემის ხარჯები გაიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, რისთვისაც გულითად მადლობას ვუხდის ამ უწყების ხელმძღვანელს დიმიტრი ჯაიანს და მთელ სამინისტროს.

წიგნი აფხაზურად გადაითარგმნა „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტში“.

---

\* იგი ერთენული მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი, ვია ჭანტურის თანამშრომლობით მოქმედი „ერთენულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრი იყო

წიგნი აზ გაიყიდება – საჩუქრებად დარიგდება.

2010 წელს დაწვებული მოგონებებისა და დოკუმენტური მასალის გაცნობა-შეგროვებას ვაგზბძელებ. ახლთ მომავალში მკითხველს წარვუდგენ მეორე წიგნს, მეზაბ კოსტავას ცხოვრების, მოღვაწეობისა და აღსასრულის შესახებ. ვისაც გაქვთ საინტერესო ინფორმაცია, ფოტო და დოკუმენტური მასალა, გთხოვთ, შემენმთანო.



*გიორგი მუხურაძის ვადალებული ფოტო*

მობილური ტელეფონი 577 43 45 14

ელექტრონული ფოსტა [nmikiashvili@yahoo.com](mailto:nmikiashvili@yahoo.com)

ნონო პიპიშვილი

2016 წელი





შუაში, შავი ჩონა-ახალუხით მერაბის დიდბაბუა ივანე პაატას ძე კოსტავა მეუღლესთან, 9 შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. ზემოდან პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ქეთევანი, იაკობი, დავითი, კონსტანტინე, მიქელა, მინეილი;

მეორე რიგში მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: კატო კოსტავა, შვილთან ერთად; ჩისტოკობით მერაბის დიდბებია და მისი მეუღლე ივანე პაატას ძე კოსტავა; შალვა (ბუნუტი) კაჭახიძე, კატო კოსტავას მეუღლე ქალიშვილთან ერთად; ეკატერინე ნუცუბიძე და ქრისტეფორე კოსტავა, შავი ჩონა-ახალუხით, უმცროს ვაჟთან ვანო კოსტავასთან ერთად; სულ ქვემოთ, მარცხნიდან პირველი ვალიკო ივანეს ძე კოსტავა, ცნრა და-მის შორის ყველაზე პატარა; მის გვერდით გრიგოლ კოსტავა, ქრისტეფორესა და ეკატერინეს უფროსი ვაჟი (დათო გრიგოლის ძე კოსტავას არქივიდან)



Агәтаны, акәымжәы еикәәтәа зшәу Мераб иабду иаб, Иване Паата-иңа Коставаи иңшәмеи, 9 ык рыхшарей рмәтацәеи. Хыхь актәи ацәахәафы, армахынтә арбьарахь игылоуп: Қетеван, Иакоб, Давит, Константине, Микела, Михаил;

*Дато Гьыргәал-иңа Костава иархив акынтә*





ეკატერინე ნუცუბიძე და ქრისტეფორე კოსტავა – მერაბის ბებია-ბაბუა  
 Като Нуцубizei, Крестефоре Костаеи



ქრისტეფორე კოსტავას და ეკატერინე ნუცუბიძის ჩანაწერები  
 Крестефоре Костаеи Като Нуцубizei рынцамтаკა

დათო ვრიგთლის ძე კოსტავას არქივიდან  
 Дато Гьыргәал-иңа Костава иархив акынтә



მათე კოსტავას ჩამოსხმული საეკლესიო ღვინის ეტიკეტი  
 Мате Костава иртәаз ауахәаматә сы аетикет



ძმები კოსტავების ჩამოსხმული ღვინის ეტიკეტი  
 Аиашьцәа Коставаа идыртәаз асы аетикет

მათე კოსტავას შვილთაშვილებს - ვულნარა (ძაძუ) ალექსანდრეს ასული  
 კოსტავას და სერგო მათეს (დათუნას) ძე კოსტავას აჩუქებიადას

Мате Костава имотაцәа Гульнара (Зазу) Александр-ицҭха Коставаи Серго  
 Мате (Датуна)-ицҭа Коставаи рархив ақынтә



მერაბის ბაბუის ძმა –  
იაკობ კოსტავა  
სოსო იაკობის ძე კოსტავას  
არქივიდან



Мераб иабду иашья  
Иакоб Костава  
Сосо Иаков-иџа Костава  
иархив аќынтә



მერაბის ბაბუა-ბებია დედის მხრიდან – ვლადიმერ დემური და ლუბა გოგავა  
მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის ფოტო-არქივიდან  
Мераб иабдуи иандუи иан лганахынтә - Владимир Демურიეи Лиуба Гогавеи  
Мераб Костава имемориалтә аны-музеи афот-архив аќынтә

მთავრსაჲს დასჯიება

მთავრსაჲს დასჯიება

ჯერნთიჲნი ვაჲ, რომ თჳჳან ყვე-  
ლანი ვაჲბათ ბაჲთ. მუ სიჲჲნი  
სი პაჲრნი. რეჲთნი ვბრ  
სუჲ ქართი. მნიღოთ ვაჲ  
საჲს რომ თჳჳან ვაჲბან-  
ლათ. სი პირსიღოთ. ვკოჲნი.  
ვაჲბათ რეჲპირთ ყველანი.

ცარიელ ქვაბში ჩაყრილი, ლობიოს მარცვლებში გახვეული ეს წერილები, გზივთვალ კოსტავამ თჯახს ციხიდან 1945 წელს გამოუგზავნა დათო კოსტავას არქივიდან

Акәыд иҭацәахны ақәаб иҭаз арт асаламшәкәкәа Гьыргәал Костава абахҭакынҭә иҭаацәара ирзааишьҭит 1945 шыкәсазы

\*Дато Гьыргәал-иҭа Костава иархив акынҭә

გზიგულ კოსტაგა – მეზაბის მამის ძმა

Гьыргәал Костава – Мераб иаб иашья



გზიგულ კოსტაგა  
აზსენას ბოლში, 1938 წელი

“Арсена” ироль наигзоит  
Гьыргәал Костава.  
1938 шықәса

დათო კოსტაგას არქივიდან    Дато Гьыргәал-иҭа Костава иархив ақынә



მერაბის შშობლები – ვანო კოსტავა და თლღა დემურიას-კოსტავა  
Мераб итаაცә – Вано Коставей Ольга Демуриа-Коставей


*მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის ფოტო-არქივიდან  
Мераб Костава и мемориалтә ѿны-музеи афото-архив ақынтә*



მერაბი ყმაწვილობისას. 1954 წელი  
Мераб ашкол дантаз. 1954 шықәса

*მერაბ კოსტაეას მემორიალური სახლ-მუზეუმის ფოტო-არქივიდან  
Мераб Костава имемориалтә аны-музеи афото-архив акынтә*





1956 წლის 1-2 დეკემბერს „გორგასლიანელების“ გაგზავნილი პროკლამაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან

1956 шыкәса пұхынчкәын 1-2 рзы „Горгаслиани“ алахәылацәа иладыртәаз апрокламациякәа. Аөнүткәтәи аускәа рминистрра архив ақынтә




*„გორგასლიანელები“ განსასჯელის სკამზე, 1957 წლის 5 აპრილი. კედელთან მარცხნიდან პირველი თამაზ გუნჯუა, მეზობ კოსტავა, ჯონდო მეტრეველი და ზვიად გამსახურდია. ქვედა რიგში მარცხნიდან პირველი ვოვა სინარულიძე, თემურ ცერცვაძე, ტოლიკა მიქაძე და გურამ სხრიტლადი ჯემალ სხირტლადის გადაღებული ფოტო, ჯონდო მეტრეველის ოჯახის არქივიდან*

*„Горгаслиани“ алахылацаа русьбара, 1957 шыкәса мшаҕымза 5. Атзамц аҕы армарахынтә актәи Тамаз Гунҕуа, Мераб Костава, Цьондо Метревели, Звиад Гамсахырдиа. Цакатәи ацәахәаҕы армарахынтә актәи Вова Сихарулизе, Тәмур Церцвазе, Толик Миказе, Гурам Схиртлазе.*

*Цьемал Схиртлазе итихыз апатрет, Цьондо Метревели иархив аҕынтә*





ზვიად გამსახურდია  
Звиад Гамсахурдиа



ვოვა სიხარულიძე  
Вова Сихарулидзе



ანატოლი მიქაძე  
Анатоли Микадзе



გურამ დოჩანაშვილი  
Гурам Дочанашвили

ბ  
მ  
ს  
ა  
ნ  
ა  
ს  
ა  
ნ  
ა  
ს  
ა  
ნ  
ა  
ს

ფოტოები სტუდია „ლენინდრაო პროდაქშენ“-ის არქივიდან  
Астудиа „Лехиндрао продакшн“ архив акынтә




მერაბ კოსტავა  
Мераб Костава

**Г  
О  
Р  
Г  
А  
С  
Л  
И  
А  
Н  
И**



ჯონდო მეტრეველი  
Цьондо Метревели

**А  
Л  
А  
ხ  
ა  
ყ  
ი  
ლ  
ა  
ც  
ა**



თემურ ცერცვაძე  
Темур Шеривაძე



თამაზ გუნჯუა  
Тамаз Гунцъуа



გურამ სხრიტლაძე

Гурам Схиртлазе



